ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1728915

ნომერი: AR1273704

თარიღი : 17.12.2014

გაცემის თარიღი : 13.02.2015

გაცნობის თარიღი : 04.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 29 , მიმდებარედ , ნაკვეთი 04/203 / ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, შპს"დიოსკურია XXI საუკუნე"-სა და მწვანე ზოლს შორის./ ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო, ხოშარაულის ქუჩა N29./ ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ხოშარაულის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვ. 4/116) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავითი რობაქიძე პ/ნ 60002010784
- ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-4 პლატო, კორპ. 4, ბ. 20

ორგანიზაცია:

- შპს ,,ტექტესტი" კოდი: 202164610

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.09.2014 წ. #1438038 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

17.12.2014 წ. #AR1273704 განცხადებით მომართა დავით რობაქიძემ და მოითხოვა 02.09.2014 წ. #1438038 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ ფუნქციური ზონის ცვლილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 02.09.2014 წ. #1438038 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ხოშარაულის ქ. #29-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი 04/203)/მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, შპს „დიოსკურია XXI საუკუნე“–სა და მწვანე ზოლს შორის/ მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო, ხოშარაულის ქუჩა #29/მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ხოშარაულის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვ. 4/116),არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.13.05.004.205; ფართობი: 1090 კვ.მ.) მრავალფუნქციური შენობის (სავაჭრო, საოფისე) აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული პირობები დადგინდა საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1) და სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1)–ის არეალში.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ მოხდა ფუნქციური ზონის ცვლილება. ზონის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხი განიხილა ”ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ” რომლის დადებითი დასკვნის საფუძველზეც საკითხი გატანილ იქნა ქ. თბილისის საკრებულოს სხდომაზე, რომლის გადაწყვეტილებითაც მთელ ტერიტორიას მიენიჭა მხოლოდ 2 ფუნქციური ზონა საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1) სადაც ასევე პარამეტრების დაანგარიშებისას დაცული უნდა იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.09.2014 წ. #1438038 გადაწყვეტილებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: ფუნქციური ზონად დაფიქსირებულ იქნას– საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1);
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.09.2014 წ. #1438038 გადაწყვეტილებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს დამატებითი დოკუმენტი:
   - საპროექტო ტეიტორიაზე მოქმედი ფუნქციური ზონების სქემატური ნახაზი (იხ.დანართი);
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.09.2014 წ. #1438038 გადაწყვეტილებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს:
   - დაცული იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი, შენობა–ნაგებობა განთავსდეს საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)-ის არეალში;
   - ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების ანგარიში განხორციელდეს საპროექტო ტერიტორიაზე მოქმედ ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის გათვალისწინებით (იხ. დანართი);

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.